

ივანე ანდრო

საბჭოთა მემორანდუმის  
ფორმირება



ხობოხი შავისნავცოთ

ფილოლოგია

იუსტას მაიცი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2010

როგორ შევისწავლოთ ფილოლოგია. იუსტას მაილსი  
How to Learn Philology. Eustace Miles

ეს წიგნი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის მარტივი შესავალი კურსია ფილოლოგიაში. ხანგრძლივი დროის მანძილზე დიდი მოთხოვნა იყო ისეთ საგნებში შესავალ კურსებზე, როგორცაა ეტიმოლოგია, ტექსტის კრიტიკული შესწავლა, ანალიზი, ინდო-ევროპული ენა, ბერძნული დიალექტები, ძველი სწავლულები. წიგნი - 'როგორ შევისწავლოთ ფილოლოგია' - ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების მცდელობაა.

წიგნის თარგმანი დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პროგრამით — „საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარება“.  
წიგნი მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

ISBN 978-9941-9117-1-2

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

Ilia State University Press  
3/5 K. Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

# ხობოი შვიისნაცოთ

## ფილოლოგია

შესავალი სახელმძღვანელო მასწავლებელთა და

მოსწავლეთათვის

იუსტას. ჰ. მაილსი. ხელოვნების მაგისტრის ხისხის მმართველი  
ქდასიქისა და ფილოლოგიის სფეროში და ქდასიქური ენებისა  
და ფილოლოგიის ლექსილი სამოქალაქო სამ-სახეის ევლვის  
სპეციალური საბჭოში(1897-99) ემბიოქის ენივერსიტეტი



## წინასიტყვაობა

დიდი ხანია, საჭიროა არსებობდეს მარტივი, შესავალი კურსის ტიპის ნაშრომი იმგვარ თემებზე, როგორცაა, მაგალითად, ეტიმოლოგია, ტექსტუალური კრიტიციზმი, ანალიზი, ინდოევროპული ენა, ბერძნული დიალექტები და წარსულში მოღვაწე დიდი მეცნიერები. ეს საჭიროება იგრძნეს უნივერსიტეტის ლექტორებმა, პედაგოგებმა, სკოლის ხელმძღვანელებმა, ზოგადად სტუდენტებმა და შემსწავლელებმა. ჩემი ამ მცირე ნაშრომით მინდა აღნიშნული მოთხოვნა დავაკმაყოფილო.

1. შევეცადე *ძალზედ ფართო არეალი მომეცვა* და ვიმედოვნებ, რომ ჩემი მეთოდის უპირატესობა მრავალფეროვნება იქნება.

2. ყოველ თემასთან დაკავშირებული თავები *მოკლეა და სპეციალურადაა ადაპტირებული დამწყები შემსწავლელებისათვის*: ფილოლოგიის შემსწავლელთა უმრავლესობა კი დამწყებია. მათგან ეს წიგნი მოითხოვს ძალზე მცირე წინარე განათლებას და ბერძნულ, ლათინურსა და ინგლისურ ენებში ბრუნვების, უღლებებისა და ლექსიკის ზოგად ცოდნას. სადაც შესაძლებელი იყო, თავი ავარიდე სანსკრიტსა და სხვა ნაკლებად ცნობილ ენებს.

3. ეს ნაშრომი *მხოლოდ შესავალი კურსია*, მაგრამ გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ იგი ისე დააინტერესებს მკითხველს, რომ ამის შემდეგ იგი შეისწავლის და დააფასებს უფრო ღრმა ნაშრომებს ისეთი სერიოზული მეცნიერებისა, როგორცაა გაილსი, კინგი და კუკსონი, ლინდსი, ვიქტორ ჰენრი და სხვები.

ყველაფერთან ერთად მინდა აღვნიშნო, რომ ეს წიგნი არ არის „ყოველისმომცველი წიგნი“, იგი არ განიხილავს მთლიანად ყველაფერს, არამედ უბრალოდ შესავალი კურსია.

4. შესაბამის თავებში გაკეთებულია *მინიშნებები* მრავალ სპეციფიკურ ნაშრომზე.

5. ნაშრომის სიახლედ მიმაჩნია მცდელობა, ვუჩვენო ადამიანებს, როგორ *ასწავლონ* ფილოლოგია (თუნდაც, მაგალითების დამუშავების გზით). ფაქტობრივად, ვეცადე ამეხსნა ჩემი მეთოდის არსი, *როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე შემსწავლელთათვის* და ამის არც თუ უმნიშვნელო შემადგენელი ნაწილია ის, რომ:

6. მოცემული მაქვს *სავარჯიშოები* და *გავრცელებულ შეცდომათა კრიტიკა* (მაგალითად, იხ. გვ. 40, 64, 153).

7. ნაშრომის დასაწყისში ვეცადე, *წვრილმანებისათვის გვერდი ამევილო*, სადაც ამის გაკეთება შეეძელი, ასევე შევეცადე, თავი ამერიდებინა წესებისა და კანონებისათვის.

8. გაგების გასაადვილებლად მოცემული მაქვს *რუქები* და *დიაგრამები*

9. ვეყრდნობი *უმარტივესი და ყველაზე კარგად ცნობილი* (განსაკუთრებით რაც ინგლისურ სიტყვებს შეეხება) მაგალითებით დაწყების – და არა წესებით დაწყების და შემდეგ მაგალითებზე გადასვლის პრინციპს.

მაგალითების მეშვეობით ხდება ზოგადი წესების ჩამოყალიბება და შემდეგ ეს წესები ახალი მაგალითებითაა ილუსტრირებული.

10. ასევე დავამატე გარკვეული ხელშემწყობი საშუალებები წესების დასამახსოვრებლად, მათ შორისაა *ერთი ორი ლექსიც* (მაგალითად, იხ. გვ. 153, 251). ლექსების, როგორც დამახსოვრების ერთ-ერთი საშუალების, წინააღმდეგ გამოთქმულ პრეტენზიებს, მე ასე ვუპასუხებდი: ტენისონი, ლექსს მესსიერების გავარჯიშებისათვის მეტად ღირებულ საშუალებად მიიჩნევდა.

11. გარდა ამისა, გთავაზობთ *რჩევებს სავარჯიშოების შესასრულებლად*. ჩემი აზრით შემსწავლელმა სავარჯიშოების შესრულება უნდა დაიწყოს მარტივი მაგალითებიდან და (გვ. 1, 22), აუჩქარებლად და პერიოდულად იმეოროს მანამ, სანამ სრულყოფილად არ აითვისებს და არ ჩანვდება ამ მარტივი მაგალითის ძირითად პრინციპს. შემსწავლელს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს პრინციპები ჩემ მიერ შემოთავაზებულ სავარჯიშოებში. *სავარჯიშოებს* თან ვურთავ *პასუხებს* (იხ. მაგალითად გვ. 64, 65).

12. ასევე გთავაზობთ (გვ. 43) *კვლევებისათვის* მნიშვნელოვან და საინტერესო თემებს.

13. სადაც საშუალება მომეცა, ყოველდღიური ცხოვრებიდან და მეცნიერებიდან მოვიყვანე საჭირო ილუსტრაციები და ანალოგიები (იხ. გვ. 72, 217).

14. შევეცადე საკითხებს *ლოგიკური თანმიმდევრობით მივდგომოდი* იმ თავებში, რომლებიც სიტყვათა ანალიზს ეხება (გვ. 20).

15. ასევე ვეცადე (გვ. 42, 151) მომეყვანა *მტკიცებულებები* ყოველი ჩემ მიერ შემოთავაზებული პასუხის დასადასტურებლად და *ამეხსნა ანალიზის პროცესი* (გვ. 152)

16. ვცადე მეჩვენებინა კონკრეტული საკითხის *აქტუალურობა*. ამისათვის, აღვნიშნე ისეთი საკითხები, რომლებსაც ნეთელს მოჰფენს ჩვენი შესწავლის საგანი (იხ. გვ. 43, 56).

17. ანალიზის ბოლოს მოცემულია ტექნიკური ტერმინები, ფორმულები, წესები და სხვა დეტალები.

18. ჩემი მიზანი იყო, წარმომედგინა ყველაზე უფრო თანამედროვე თეორიები, ან უკეთ რომ ვთქვათ, ის თეორიები, რომლებსაც თავიანთ შესანიშნავ სახელმძღვანელოებში უპირატესობას ანიჭებენ დოქტორი გაილსი და ბატონები, კინგი და კუკსონი; ჩემი ნაშრომი ძირითადად ორთოდოქსულია. იგი არ არის ორიგინალურ ნაშრომი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩემს *მეთოდს*. შევეცადე, დამეცვა აკურატულობა და სიზუსტე, თუმცა, ამ ტიპის ნაშრომის ტექსტში, უეჭველია, რაღაც შეცდომა მაინც გაიპარებოდა. მინდა, ჩემი გულწრფელი მადლობა გამოვუცხადო აბერ-



დინის უნივერსიტეტის გამომცემლობის თანამშრომლებს იმ გულისყური-სათვის, რაც მათ ჩემი წიგნის ბეჭდვისას გამოიჩინეს.

თუ ამ წიგნს კარგად მიიღებს მკითხველი, მას შეიძლება მოჰყვეს საგამოცდო საკითხების სერიების გამოცემა პასუხების თანხლებით და წინამდებარე ნაშრომის მსგავსი წიგნის გამოცემა, უკვე სინტაქსის შესახებ.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას უკვე გამოცემულ იმ უამრავ *წიგნზე*, რომლებიც *აქ განხილულ* სხვადასხვა თემას შეეხება. ადვილი იქნებოდა იმ წიგნების სიის შედგენა, რომლებიც შესანიშნავია სპეციალისტებისათვის, რომლებშიც წარმოდგენილი თეორიებიც თანამედროვე და ახალია და აქვთ შესანიშნავი საძიებლები, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოჩენილა ყოვლისმომცველი ნაშრომი აღნიშნულ თემებზე: არ არსებობს ისეთი ნაშრომი, რომელიც სრულად მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა მაგალითად, ბერძნული დიალექტები, ლათინური წარწერები და ტექსტუალური კრიტიციზმი.

უმკაცრესი ცენზურა, რომელიც წილად ხვდა მრავალ სახელმძღვანელოს, გამოწვეული იყო გაუგებრობით. ეს წიგნები მართლაც მეტად ძვირადღირებულია. ისიც მართალია, ყოველ შემთხვევაში, ბევრმა მოსწავლემ და სხვებმაც პირადად მითხრეს, რომ ეს წიგნები დამწყებთათვის არ არის ადაპტირებული და როცა ისინი მათ კითხულობენ ზღვა რაოდენობის დეტალებში იხლართებიან; რომ ეს წიგნები მოსაწყენი და უინტერესოა და მრავალფეროვნებას საჭიროებს; რომ ისინი არ გვთავაზობენ იმას, თუ როგორ უნდა შევასწავლოთ ფილოლოგია, რომ მათში მეტისმეტად ბევრი დეტალია, რომელთა სწავლა დამწყებებს მოეთხოვებათ; რომ ისინი ყურადღებას არ ამახვილებენ მნიშვნელოვან საკითხებზე და უკანა პლანზე არ გადააქვთ მეორეხარისხოვანი; რომ ისინი სავსეა ტექნიკური ტერმინებით, როგორცაა მაგალითად, *ანაპტიქსი*, შეიცავენ აბსტრაქტულ წესებს, რომელთაც მაგალითებიც მოსდევს და ამდენად, უგულვებელყოფენ სწავლების ფუნდამენტურ პრინციპს (სახელდობრ იმას, რომ ჩვენ უნდა მივიდეთ აბსტრაქტულ წესამდე მარტივი და კონკრეტული მაგალითებიდან გამომდინარე, რომლებიც ინგლისელი შემსწავლელთათვის, თუ ეს შესაძლებელია, უნდა იყოს, ინგლისურ ენაზე).

გარდა ამისა, ამ წიგნებში არ არის დიაგრამები და რუქები, მაშინ როცა ინდოევროპული ენის რუქა, საბერძნეთისა და იტალიის რუქები და მეტყველების ორგანოთა დიაგრამა ნათელს მოჰფენდა მოცემულ საკითხებს და უფრო მეტად საინტერესოს გახდიდა მათ.

ეს წიგნები არ გვთავაზობენ რაიმე მოსახერხებელ საშუალებას იმ გრძელი სიების დასამახსოვრებლად, რომლებითაც გადაჭედულია ტექსტი. ისინი არ გვაძლევენ რჩევას (არც მასწავლებელს და არც შემსწავლელს) იმის შესახებ, თუ როგორ ვივარჯიშოთ საგანში და არც კონკრეტულ სავარჯიშოებს გვანვდიან. არ გვთავაზობენ კვლევისათვის მნიშვნელოვან საკითხებს. იშვიათად იძლევიან ილუსტრაციებს ყოველდღიური ცხოვრე-

ბიდან ან მეცნიერებიდან, რასაც შეეძლო გაეხალისებინა შემსწავლელი. მათში არ ჩანს რაიმე ლოგიკური წყობა ან თანმიმდევრობა. ისინი არ უჩვენებენ მასწავლებელსა თუ შემსწავლელს, როგორ ვუპასუხოთ საგამოცდო საკითხს და უფრო იშვიათად იძლევიან ფაქტობრივ მასალას, რომელსაც კონკრეტული პასუხი უნდა ეყრდნობოდეს.

მრავალი მათგანი ისე ცუდადაა ადაპტირებული საჭირო მასალის მოძიების თვალსაზრისით, რომ ჩვეულებრივ ადამიანს შეიძლება, სახელმძღვანელოს გამოცდაზე შეტანისა და გამოყენების უფლებაც კი მიეცეთ და ერთი წუთითაც არ შეგვეშინდეს, რომ ის მაღალ ნიშანს მიიღებს.

სხვადასხვა საკითხის მთავარი მნიშვნელობა ახსნილი არ არის, არადა, ეს საკითხს უფრო საინტერესოს გახდიდა. გარდა ამისა, ეს ნიგნები ბევრ უზუსტობას შეიცავენ, მაგალითად, არ არის გამიჯნული გრძელი ხმოვნები და მოკლე ხმოვნები. (გვ.6) - ეს კი სერიოზული შეცდომაა.

თუმცა სტუდენტები ამ ნიგნებამდე უკვე კარგად შეიარაღებულები რომ მოსულიყვნენ, მრავალი ზემოთ აღნიშნული საყვედურების გამოთქმა მათ აღარ მოუწევდათ. ერჩივნათ ჯერ შესავალი კურსი წაეკითხათ. ვიდრე და ამ მეცნიერული ტრაქტატების შესწავლას შემდეგ შედგომოდნენ, მათ რომ ჩემი ნიგნის მსგავსი მარტივი და მოსამზადებელი კურსი გაევილოთ, ვფიქრობ, შეძლებდნენ, სრულყოფილად დაეფასებინათ ბევრი ასეთი სახელმძღვანელო, მაგრამ ისინი იძულებულნი იყვნენ, „სიარულამდე ხტომა ესწავლათ“.

არა მგონია მკითხველს არ აინტერესებდეს, თუ როგორ გადავწყვიტე ამ ნიგნის გამოცემა.

როცა კემბრიჯის უნივერსიტეტს ვამთავრებდი, გავიარე ჩვეულებრივი კურსი ფილოლოგიაში და ამ საგნის შესახებ ინგლისურ ენაზე დაწერილი თითქმის ყველა შესრულებული ნაშრომი წავიკითხე. შემდეგ თავადაც ვცადე ნაშრომების დაწერა, რომლებმაც ქებაზე მეტი კრიტიკა დაიმსახურეს.

მოგვიანებით რაგბიში წავედი მასწავლებლად. იქ, ისევე როგორც რამდენიმე სხვა საჯარო სკოლაში, ლექციებს ვკითხულობდი ფილოლოგიაში. სწორედ მაშინ, დამწყებთათვის ამ საგნის *სწავლებისას*, გამიჩნდა აზრი, უარი მეთქვა ფილოლოგიის სწავლების ძველ მეთოდებზე და მეცადა ისეთი მეთოდის მოძებნა, რომელიც უფრო ლოგიკური და გასაგები იქნებოდა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ასობით წარჩინებულ მოსწავლეს ვამეცადინებდი კემბრიჯსა და გერტონში. იმის გათვალისწინებით, რაც მე წავიკითხე და აღმოვაჩინე რეალური გამოცდილების საფუძველზე ზოგადად საგნის სწავლების უნივერსალურ პრინციპებთან დაკავშირებით, გამუდმებით ვიცვლებოდი და (ვიმედოვნებ რომ) ვაუმჯობესებდი სწავლების გზებს.

მაგრამ სწავლების პროცესში ჩემთვის მწვავედ იდგა ისეთი *სახელმძღ-*

ღვანელოს საკითხი, რომელიც დამწყებთათვის ერთდროულად ადვილიც იქნებოდა, თანამედროვეც და გასაგებიც.

მოსწავლეები გამოუდმებით მთხოვდნენ მათთვის ამგვარი წიგნი დამესახელებინა და მე კვლავ და კვლავ იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ ასეთი წიგნი არ მეგულებოდა.

დაბოლოს, უამრავი წერილი მივიღე მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან, რომლებიც დაჟინებით მთხოვდნენ, მთელი ჩემი გამოცდილება შემეჯერებინა და გამომეცა სავარჯიშოები, რადგან საგნის სწავლებისათვის საუკეთესო საშუალებად პატარა, დამწყებთათვის ადაპტირებული სახელმძღვანელო მიაჩნდათ. მეც სწორედ ამის გაკეთება ვცაადე.

ზედმეტი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ სიამოვნებით მივიღებ პირად წერილებსა თუ პერიოდულ გამოცემებში გამოხატულ ნებისმიერ შემოთავაზებას, რომელიც სახელმძღვანელოების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. რადგანაც ვგრძნობ, რომ ამ მეტად რთული საგნის სწავლების მეთოდთაგან მხოლოდ რამდენიმე საუკეთესო მეთოდის დაუფლება თუ მოვახერხე.

იუსტას ჰ. მაილსი.

პოლს როუდის 5,  
კემბრიჯი, 1899.



## სახჩაჰი

ნინასიტყვაობა .....  
რამდენიმე რჩევა მკითხველს .....

# ნანი I

## შესავალი

1. ფილოლოგიის შესწავლის უპირატესობანი — 2. ენათა წარმო-  
მავლობა — 3. ინდოევროპული ანუ Māter-ენა და მისი შთამომავლები  
— რას ნიშნავს სინამდვილეში „გაანალიზეთ სიტყვა, ‘Tremunt’ (ანუ  
τρέμουνσι)“ ....

1. აღნიშნეთ ფილოლოგიის შესწავლის ძირითადი უპირატესობანი ...  
.....

2. რა განსხვავებულ თეორიებს გვთავაზობენ ენათა წარმოშობის  
შესახებ? ჩამოაყალიბეთ საკუთარი აზრი .....

3. (ა) რა იგულისხმება ინდოევროპულ ენაში. თქვენი პასუხის საილუს-  
ტრაციოდ დახაზეთ გეგმა .....

ინდოევროპული ენების სია

(ბ) სხვა რა სახელებით მოიხსენიებენ ინდოევროპულ ენას. გააკრიტიკ-  
ეთ ეს სახელწოდებები და თუ შეგიძლიათ, მოიფიქრეთ ახალი სახელები ...

(გ) მოიყვანეთ ინდოევროპული ანუ Māter-ენის რამდენიმე სიტყვა-  
მოდელი თავისი ბერძნული, ლათინური და ინგლისური „შთამომავლებით“.

(დ) დაადგინეთ (და წარმოადგინეთ სქემით) ბერძნული ენისა და  
ლათინური ენის ურთიერთდამოკიდებულება.

4. (ა) „გაანალიზეთ სიტყვა, ‘Tremunt’ ან τρέμουνσι“ — რას, გულისხ-  
მობს სინამდვილეში ეს დავალება .....

(ბ) რა უნდა ვიცოდეთ, ვიდრე დავალებას, „გაანალიზეთ...“, სწორად  
შევასრულებდეთ. შემოგვთავაზეთ ლოგიკური პროცესი, როგორ ვისწავ-  
ლოთ სიტყვის „ანალიზი“ .....

# ნანი II

## სიტყვის ანალიზისთვის მზადება

დიალექტები — ბერძნული დიალექტები — ლათინური წარწერები  
— ინგლისური ენის თანხმობები და გრიმის კანონი — ფილოლოგიის  
ზოგადი პრინციპები და მნიშვნელოვანი ენობრივი ფაქტები — ბერ-  
ძნული და ლათინური სიტყვების წყვილები მათი ადრეული ან მშობე-

**ლი-ფორმებით . . . . .**

5. (I.) რა არის დიალექტი (II.) როგორ წარმოიშვებიან და (III.) როგორ ქრებიან დიალექტები . . . . .

6. დაასახელეთ შემდეგი დიალექტებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი:

(I.) დორიული დიალექტის — (II.) იონიური დიალექტის — (III.) ძველი და ახალი ატიკური დიალექტების, მოიყვანეთ მაგალითები და მიუთითეთ, თუ სად საუბრობდნენ ამ დიალექტებზე.

(IV.) რას ნიშნავს *Κοινή* და ძველი აღთქმის ენა . . .

7. განმარტეთ ეოლიური დიალექტი და აღნიშნეთ მისი ძირითადი მახასიათებლები მისი ლათინურთან შედარების გზით, რამდენადაც ეს შესაძლებელია . . . . .

8. რაში მდგომარეობს ფიკის თეორია ჰომეროსის დიალექტის შესახებ. რამდენად სწორი შეიძლება იყოს იგი . . . . .

9. მიუსადაგეთ მოცემული ფორმები შესაბამის დიალექტებს, დაურთეთ მცირე კომენტარი — *τῶν, φύγᾶ, ὄκα, ὄκω, πέμπε, λόγοι, ᾄ (ῆ), κῶρᾶ, ἔσπερρε, ἀκούσαις, λόγοισι, βασιλῆς, Φαλείοις (Ηλείοις) μῦθος, ἐνθαῦτα . . . . .*

10. (ა) ბერძნული დიალექტის ფაქტობრივი მონაცემები და ინტერესი ამ დიალექტის მიმართ . . . . .

(ბ) ახსენით, რატომ შეიძლება იყოს დიალექტების შესწავლა მნიშვნელოვანი და საინტერესო . . . . .

11. ადრეული ლათინური ხელნაწერების რომელ ფორმებში შეიძლება ვნახოთ შემდეგი სიტყვები? (ა) *dabunt malum Metelli Naevio poetae*; (ბ) *Philippus maximi aestimavit*; (გ) *Lucius Gnaeo natus, cuius fama virtuti parissima fuit, cum Romae adesset, aedem Iunoni posuit*; (დ) *ut facillime figi possit*. დაურთეთ შენიშვნები . . . . .

12. ახსენით და კომენტარი დაურთეთ ნებისმიერ სპეციფიკურ ფორმას შემდეგ ლათინურ წარწერებში: —

(ა) *Manios med fhefhaked Numasioi . . . . .*

(ბ) *io vei sat deivos qoi med mitat nei ted endo cosmis virco siet asted noisi ope toitesial pakari vois dvenos med feced en manom einom dvenoi ne med malo statod . . . . .*

13. დაწერეთ ადრეული ლათინურის შემდეგი ფორმების შესაბამისი კლასიკური ფორმები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, კომენტარების გარეშე — (ა) *enos Lases iuvate*; (ბ) *sancus Iānis es, duonus Cerus es, duonus Iānusque [pu]meliōsum rēcum*; (გ) *quomne tonās, Leucesie, prai tēt tremonti*; (დ) *pīlumnoe poploe*; (ე) *Belōlai pñcolom*; (ვ) *Venos Diovem Prosepnāi* და ა.შ. შემდგომ იხ. გვ. 52

13.(ა) რა ძირითადი თავისებურებები ახასიათებს ადრეულ ლათინურ ფორმებს? მოიყვანეთ მაგალითები; (ბ) მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი იტალიკური დიალექტიდან ლათინური შესატყვისებით . . . . .

14. რაში მდგომარეობს ლათინური წარწერების მნიშვნელობა და რატომაა ისინი საინტერესო . . . . .

15. რა სიტყვები შეესაბამებოდა ქვემოთ მოცემულ აბრევიატურებს ლათინურ წარწერებში? — A. . ., A., A.A.A.F.F., ABN., A.D.A., ADF. და ა.შ.

16. რა კავშირები არსებობს ინგლისურ ენასა და ბერძნულ და ლათინურ ენებს შორის . . . . .

17. ა) ახსენით გრიმის კანონი (მხოლოდ ინგლისურ ენასთან მიმართებაში) მოიყვანეთ ორიოდე მაგალითი ბ) დაასახელეთ ძირითადი გამონაკლისები და განმარტეთ როგორ შეიძლება მათი ახსნა . . . .

18. (ა) დაწერეთ ქვემოთ მოცემული ინგლისური სიტყვების გამოკვეთილი შრიფტით დაწერილი თანხმომცემების შესაბამისი Mäter-ენის ფორმები და დაასახელეთ მსგავსი ორიოდე ბერძნული და ლათინური სიტყვაც.

(ბ) დაწერეთ ინგლისური სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ქვემოთ მოცემულ სიტყვებთან. ჩასვით Mäter-ენის თანხმომცემები ფრჩხილებში . . . .

19. ახსენით ქვემოთ მოცემული ტერმინები და დაასახელეთ მაგალითები:

ა) **ფონეტიკური კანონები** (ბგერათა ცვალებადობის კანონები),

ბ) **ანალოგია** (ასოციაცია), „პროპორციული ანალოგია“

გ) **კონტამინაცია** (შერწყმა) . . . .

დ) მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი ბგერებისა, რომელთაც განსხვავებული განვითარება ჰპოვეს განსხვავებული პირობების გამო . .

20. რა იცით ადრეული და შემდგომი მახვილის შესახებ (ამ სიტყვის ფართო გაგებით?) მოიყვანეთ მისი გავლენის დამადასტურებელი მაგალითები . . . . .

21. ა) დაწერეთ სხვა შემორჩენილი ძირის ფორმები ქვემოთ მოყვანილი სიტყვებისათვის. განიხილეთ ძირი, როგორც ერთი მარცვალი. . . . .

ბ) დაასახელეთ, სად შეიძლება ვეძიოთ გარკვეული ძირის ერთი კონკრეტული ფორმა . . . . .

22. (ა) შეასრულეთ ინგლისური, ბერძნული და ლათინური **შედგენილი სიტყვების** კლასიფიკაცია, მოიყვანეთ მაგალითები და დაურთეთ კომენტარი . . . . .

(ბ) რა მნიშვნელობა აქვს შედგენილ სიტყვებს და რატომ იწვევენ ისინი ინტერესს . . . . .

23 რამდენად იდენტურები იყვნენ ერთ დროს ქვემოთ მოცემული სიტყვათა **წყვილები**? დაურთეთ მშობლიური ფორმა, სადაც შეძლებთ, დაურთეთ მცირე კომენტარი: ა) და-ფორმები, ἀγέτω და ა.შ. იხ. გვ. 83 ბ) ბიძაშვილი-ფორმები, ἀγεις და ა.შ. იხ. გვ. 92 . . . . .

24. (ა) „ ხმომცემების თვალსაზრისით, ბერძნული ენა Mäter-ენასთან უფრო ახლოა, ვიდრე ლათინური ენა“; მაგალითების საშუალებით აჩვენეთ, რომ ყოველთვის ასე არ ხდება . . . . .

(ბ) „ თანხმომცემების თვალსაზრისით ლათინური ენა უფრო ახლოსაა

Māter-ენასთან.“; იგივე დავალება შეასრულეთ სამ შემთხვევაშიც . . . . .

### ნანიცი III

#### სიტყვების ანალიზი

სიტყვის შემადგენელი ნაწილები — რამდენიმე ბერძნული და ლათინური სიტყვის ანალიზი — ბრუნვის დაბოლოებები და სუფიქსები — ბერძნული სიტყვების ანალიზი — ლათინური სიტყვების ანალიზი — მონაცემთა, მეთოდთა და ანალიზისას გავრცელებულ შეცდომათა შეჯამება . . . . .

25. სიტყვის რა შემადგენელი ნაწილების მიხედვით შეიძლება სიტყვის ანალიზი; მოიყვანეთ მაგალითები და დაასახელეთ თითოეული შემადგენელი ნაწილის ფუნქცია . . . . .

26 (ა) რა არის ძირი სიტყვისა *φέρω φέρω*? დაასახელეთ იგივე ძირის მქონე რამდენიმე სხვა სიტყვა და ახსენით, რატომ უნდა დაინეროს ისინი ინგლისურ და არა ბერძნულ ენაზე . . . . .

(ბ) იპოვეთ პრეფიქსი სიტყვებში *ἀπέφερον*, *abferēbam*, *δέδωκα*, *dedī*

(გ) მოძებნეთ მოცემული სიტყვების ბოლოსართები: *him who hurteth*; *φέρομεν* . . . . .

(დ) რა იყო მოცემული სიტყვების ბოლოსართები: *λέγωμεν* *legātis*, *φέρομεν*, *ιτερ*, *ποιμένος*, *კაცობრიობა*? . . . . .

27. „გაანალიზეთ მოცემული ბერძნული, ლათინური და ინგლისური სიტყვები“ [შესწორებული შეკითხვა: გაანალიზეთ ამ სიტყვათა ადრეული ფორმები] და გვიჩვენეთ ბგერათა ძირითადი ცვალებადობა: — (ა) *αἰπόλοι*, *ἔδειξα*, *ἴστησι*, *λέγου*, *μείζοι*, *μητρός*, *μόνοις*, *φημῆ*, *ἐπιτείνω*; (ბ) *agricola*, *ambire*, *bonos*, *denuo*, *dicturum*, *eritis*, *feci*, *tremunt*, *unum*; (ც) *father* (ვოკ.) . . . . .

28. (I) რა ფუნქციას ასრულებს ბრუნვის ნიშნები და სხვა რა გზით შეიძლება იგივე ფუნქციის შესრულება? . . . . .

(II) რომლებია Māter-ენის ძირითადი: ა) ბრუნვის დაბოლოებები ბ) კილოს სუფიქსები. მოიყვანეთ მაგალითები თავისი ბერძნული და ლათინური ჩამომავლებით . . . . .

29. გაანალიზეთ მოცემული ბერძნული სიტყვების ადრეული ფორმები, დაურთეთ მცირე კომენტარი — *ἀλόχων* . . . . .

*ἀμβρότφ*, *ἀμείνων*, *ἀμφιένυμι*, *ἀνομίᾱ* . . . . .

*ἀοσητηῆρας* (ჰომეროსისეული), *ἀσπουδεί*, *ἄττα*, *βουλῆτόνδε* . . . .

*γέγαμεν*, *γεινήφιν*, *δεσπότης*, *διδμενής*, *ἐγέλαδδαν* (ჰომეროსისეული)

*εἰδώς* *εἴμαρται*, *ἔλιπον* (III მრ.), *ἔλις*, *ἐλύθη*, *ἐλίσατε* . .

*ἔμεινε*, *ἔνη* *καὶ* *νέᾱ* (“the old day and the new”-„ძველი დღე და ახალი“), *ἐστήκασι*, *ἐπήει*, *εὐαδε*, *εὐρύγυιαν* . . . . .



ἦ δ' ὅ „said he“-თქვა მან “ ἦει „he went” -ის წავიდა“ ἦκα, ἴσθι (ა)  
“know”-„ცოდნა“ (ბ) “be”-„ყოფნა“ . . . . .

ῥοχάιρα, ”arrow-shooter“-ისრის მსროლელი, მშვილდოსანი” ῥορή,  
κρείττους, λέγη, (II მხ.საშუალო) λιλαίεται . . .

λῦσαι, μέμβλωκα, μεάτω, Μοῦσαι, οἰοπέδου . . . . .

ὄχεσφι, παρέμμυεν, πιέζω, πρίν, πέπομφα, πεφευγίην . . . . .

στήναι, σχές, τετράφαται, τράπεζα, (oa four-footed thing, a table”-“ოთხფეხა  
საგანი, მაგიდა”)τριχός . . . . .

ὑπόδρα ('ასკანური'), φαεινός (ეოლიურიდან), φαίνουσα ('ეოლიური'),  
φρασίν (ჰინდარე).

30. **გაანალიზეთ** მოცემული ლათინური სიტყვების ადრეული ფორმე-  
ბი, დაურთეთ მცირე კომენტარი — *aevom, amāvī, ambīre, anceps . . .*

*aufugiunt, arbitrōrum, arcēssō, bene . . . . .*

*brūma, cerebrum, cito, citrā, comitābimur . . . . .*

*consulātūī, contentiōnēs, cuīcuīmodī . . . . .*

*danun, dēnuō, Diēspiter, dīgnōs, ēducāvīt . . . .eōrum, falsus, faxit, fīdere . . .*

*findō, foederis, fugābam, futūrum, gravibus, igitur . . . .īlicō, impedīmentum . .*

*. . .īmus, inventus, legendīs, legeris . . . .legitur, leviter, macte estō, mentiōnibus*

*. . . minister, monērī, neu, prīmus, regāminī . . . .rexerit, secundum,superiōrem,*

*tulī . . . .usque, utī, ūtier . . . .utrum, velīmus.* სამუშაო რთულ ლათინურ

სიტყვებზე . . . .31. **შეაჯამეთ:** ა) მონაცემები, რომელთა მიხედვი-

თაც, გარკვეული მეთოდით გაანალიზებთ სიტყვებს; ბ) მეთოდი,

რომელსაც თქვენ ურჩევდით დამწყებ შემსწავლელს სიტყვების ან-

ალიზისთვის; გ) ძირითადი შეცდომები, რომლებიც შეიძლება დამწყ-

ებმა შემსწავლელმა დაუშვას სიტყვების ანალიზისას . . . . .

**ლექსი** . . . . .

სიტყვის ანალიზთან დაკავშირებული საბოლოო მინიშნებანი . . .

## წანილი IV

ზოგადი საკითხები ბგეხათა ცვალებადობისა და სხვა მოვ-  
ლენათა შესახებ და

ტექნიკური ტერმინთა განმარტებანი

წინადადებები Māter-ენაზე — ზოგიერთი Māter-ენის ასოები → ბერ-  
ძნული და ლათინური ასოები — ზოგიერთი ბერძნული და ლათინური  
და Māter-ენის ასოები — Māter-ენის ალფაბეტი — ტექნიკური ტერმი-  
ნები . . . . .

32. გადათარგმნეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები Māter-ენაზე,  
სადაც საჭიროა მოიყვანეთ ალტერნატიული ფორმები, ასევე მოიყვანეთ

ბერძნული და ლათინური შთამომავალი მაგალითებიც — ა) “O, mother, bear the yoke”- „ო, დედა, შეაბი საბელი; “the horse is in the field”- ცხენი მინდორშია“; ბ) “may the liver of the seven bears be red”- „დაე შვიდი ველური დათვის ღვიძლი იყოს წითელი“; გ) tell me who it was, father and what he did”- „მითხარი ვინ იყო ის, მამა, და რა გააკეთა მან“; დ) in another boat I am coming to the new house”- „მეორე ნავით მოვდივარ მე ახალ სახლში“; ე) he has seen (knows) five wolves”- „მას უნახავს (იცის) ხუთი მგელი“; ვ) in birth he surpasses the brother of these women „დაბადებიდან იგი ჯობნის ამ ქალების ძმას“ . . . .

33. რა სახე მიიღო ქვემოთ მოყვანილმა Māter-ენის ასოებმა, მოიყვანეთ მაგალითები: (ა) ბერძნულის: q, s, i, ā, u, w, Ϸ, m; (ბ) ლათინურის: dh, ai, eu, a, ei, s, m, r, Ϸ . . . . 34. ინდოევროპული ენის რომელი ფორმებიდან მოდის ქვემოთ მოყვანილი ასოები? მოიყვანეთ მაგალითები (ა) ბერძნული α, π, β, η, ε, ι, τ, σσ და ττ, ζ, φ, და „უხეში სუნთქვა“; (ბ) ლათინური b, ī, i, d, f, g, h, r, ū, e . . . . 35. დანერეთ Māter-ენის აღფაბეტი; დაურთეთ მოკლე კომენტარი.

36. განმარტეთ ქვემოთ მოყვანილი ტერმინები და დაასახელეთ:—

- (ა) ნახევარხმოვნები . . . .
- (ბ) გუტურალები . . . .
- (გ) არადეტერმინირებული (განუსაზღვრელი) ხმოვანი . . . .
- (დ) ანაპტიკური ხმოვანი; (ე) ანასტროფი; (ვ) აპოკოპე; (ზ) ასპირაცია
- (თ) ასიმილაცია; (ი) სახეცვლილი დაყოფა; (კ) კომპენსაცია . . .
- (ლ) შერწყმა; (მ) დეასპირაცია; (ნ) დისიმილაცია . . . .
- (ო) დუბლეტები; (პ) ენკლიტიკა; (ყ) ეპენტეზისი; (რ) ასოთა დაკარგვა და სინკოპე . . . . .
- (ს) მეტათეზისი; (ტ) მეტრული წყობა . . . .
- (უ) პროთეზი; (ფ) როტაციზმი . . . . .

## ნანიცი V

### ნახმოთქმა (ჰიონანსი), მახვილი, მახილნეხა

37. (ა) როგორ წარმოითქმებოდა შემდეგი სიტყვები და ბგერები კლასიკურ პერიოდში? მოიყვანეთ ინგლისური ექვივალენტები — (I) istis, ara, petes unus non quot iuga vires; (II) au, ae, eu, oe, ui; (III) ἴφι: ἄρα: σέ: μή σ, σκῦτος, ᾶ, φόνου, ᾶζον; (IV) ε, αι, οι, υ, αυ, დაახლოებით 450 წელს ჩვ. წ. აღ.-მდე ε, ου, 450 წელს ჩვ. წ. აღ.-მდე და მის შემდეგ. . . .

(ბ) აღნიშნეთ ის შეცდომები, რომელთაც ხშირად უშვებენ შემდეგი ფრაზების გამოთქმისას: — (I) ut parvos infans nunc civitas iacet; (II) ῥίζαι σοφῶς ἐχύθησαν . . . . .

(გ) დაასახელეთ კლასიკური ბერძნული და ლათინური გამოთქმის შესახებ არსებული ფაქტობრივი მონაცემები . . . . .

(დ) რა უპირატესობები გააჩნია ბერძნული და ლათინური ბგერების

იმგვარად გამოთქმას, როგორც ისინი სინამდვილეში გამოითქმებოდნენ, ინგლისური ბგერების გამოითქმასთან შედარებით. . . . .

(ე) როგორ შეიძლება მივალნიოთ ბერძნულსა და ლათინურ ენებში სწორ გამოთქმას? . . . .

38. (ა) რა ახასიათებდა ბერძნულ მახვილს (ლათინურისგან განსხვავებით), განმარტეთ მახვილის აღმნიშვნელი ნიშნები (ბ) დაუსვით მახვილები შემდეგ სიტყვებს და დაურთეთ მცირე კომენტარი: *Zeus, ἴμεν, ἀνα, εἶμι, ἀνθρωπος τις, λυσισ, θυμος, βαλων და βαλειν, ἀδαματος, ὀνομακλυτος, τροπαιν, εἰδεναι, φορουμειν, ἄλλα, πατρος* . . . .

39. როგორ ინერებოდა საუკეთესო ხელნაწერებში (MSS) შემდეგი სიტყვების შესაბამისი (ა) ბერძნული სიტყვები: — I knew, thou knewest, he knew, I save, I was going to, I wished, if (კავშირებით კილოსთან), I arrange, with, always, boldness, he dies, thou art said ( მე ვიცოდი, შენ იცოდი, მან იცოდა, მე ვზოგავ, მე ვაპირებდი, ნეტავ, თუ (კავშირებით კილოსთან), მე ვახერხებ, ყოველთვის, მამაცობა, ის კვდება, შენ გეუბნებიან. დაწერეთ შემდეგი სიტყვების შესაბამისი ლათინური სიტყვები: I struck, I was struck, I will come (მე ვარტყამ, მე გამარტყეს, მე მოვალ) ბ) შემდეგი სიტყვების ლათინური შესატყვისები: — (I) dead - მკვდარი (ნომინატივი და აკუზატივი), horse-ცხენი, (დატივი), of the son -ვაჟიშვილის, towers- კოშკები (ნომინატივი და აკუზატივი); (II) yoke- უღელი, at Rome -რომში, pleasant to behold-საამო არის საცქერლად, (III) I throw away - მე ვისვრი და ა.შ.

## ნანი VI

### ჩოგოხ ნახმოიქმნება ბგეხა (ფიზიოლოგია)

40. აღწერეთ სამეტყველო ორგანოები; უჩვენეთ, როგორ წარმოიქმნება ბგერა . . . .

41. დაწერეთ შემდეგი მოვლენების შესახებ: ა) -s- ხმოვნებს შორის ბერძნულსა და ლათინურში; ბ) ორი დენტალურის კომბინაცია ბერძნულსა და ლათინურში . . . . .

## ნანი VII

### აღფაბეტი

42. რით განსხვავდება კლასიკური ლათინური აღფაბეტი ინგლისური-საგან . . . .

43. რა ძირითადი კავშირი არსებობს დემოსთენეს დროინდელ ატიკურ ბერძნულ აღფაბეტსა და იმპერატორ კლაუდიუსის დროინდელ ლათინურ აღფაბეტს შორის . . . .

44. ბერძნული და ლათინური აღფაბეტის შემდეგი ასოების მოკლე ისტორია: ა)ბერძნული H, F; (ბ) ლათინური C, X, Y, Z, რიცხვის აღმნიშვნელი

ნიშნები, *Q* . . . . .

45. რა ნიშნებით შეიძლება ადგილობრივ ალფაბეტთა (განსაკუთრებით არქაულ ალფაბეტთა) გარჩევა? . . . . .

## ნანი VIII

### ეტიმოლოგია და სემანტიკა ანუ სიტყვათა მნიშვნელობა

46. „სიტყვის მნიშვნელობის ევოლუციის ისტორია ძალიან ჰგავს ბუნების სამყაროში სხვა საგნების ევოლუციის ისტორიას“ – კომენტარი დაურთეთ ამ დებულებას და მოიყვანეთ მაგალითები . . . .

47. ეტიმოლოგიის რომელი პრინციპების ილუსტრაციას იძლევა შემდეგი სიტყვები: bridegroom, redbreast, see - ნეფე, გულწითელა, მიხვედრა (ფრაზაში I see, what you mean - ვხვდები, რას გულისხმობ), pig - ღორი (გამოთქმაში He is a pig - ის ღორია), St. Paul's, pagan, humble - წმ. პავლე, წარმართი, თავმდაბალი. . . . .

## ნანი IX

### ბეჩდელი ნანიდაების ზოგიერთი იდიომატუხი გამოყენების შემთხვევა ლათინური ექვივალენტების მოყვანით

48. რას გულისხმობს ნაწილაკი, ილუსტრირება გაუკეთეთ თქვენს პასუხს . . . .

49. რა სიტყვები ჰქონდათ ბერძნებს, რომელთა დახმარებითაც მათ შეეძლოთ გამოეხატათ: ა) 'but', (however) („მაგრამ“, „თუმცა“); ბ) 'for', (because) „რადგანაც“; გ) 'and', (moreover) „და, მით უფრო“; დ) 'so', (therefore) „ასე, რომ, ამდენად“; ე) 'if' „თუ“; ვ) 'who' „ვინც“ — მიმართებითი ნაცვალსახელი.

50. რა ნაწილაკები შეეძლოთ ბერძნებს გამოეყენებინათ იმისათვის, რომ გამოეხატათ მნიშვნელობათა შეფერილობები შემდეგ წინადადებებში? დაწერეთ ლათინური ექვივალენტები, სადაც შესაძლებელია: a) Who on earth . . .?; b) either. . .or; c) whether. . .or; d) someone will object and say. . .; then I answer. . .; e) the best of all, far the best; f) unless of course. . .; g) nay rather, I should say . . .; h) for instance; i) be that as it may; j) forsooth; k) surely it is. . .?; l) surely it is not. . .?) m) here comes A; n) then and not till then; o) only on this condition. (ა) ვინ . . .?; ბ) ან...ან; გ) თუ არა დ) ვიღაც არ დაეთანხმება და იტყვის..., მაშინ მე ვუპასუხებ, რომ...; ე) ყველაზე მეტად; საუკეთესოთა შორის საუკეთესო ვ) რა თქმა უნდა, თუ არ...; ზ) მე ვიტყვდი, რომ არა; თ) მაგალითად...; ი) როგორც არ უნდა იყოს; კ) ასეა არა? ლ) ასე არ არის? მ)აი, ისიც; ნ) მხოლოდ

მაშინ და არამც და არამც მანამდე; ო) მხოლოდ ამ პირობით; 51. დაასახე-  
ლეთ ქვემოთ მოყვანილი გამოთქმების იდიომატური მნიშვნელობები —  
(ა) *δή και δή, και γάρ, τοι, και, τις, ώς, δ' οὖν, γοῦν, ἦ, μήν, μή, ἄρα, μὲν  
οὖν*; (ბ) *idem, ille quidem, ita . . . . ut . . . .*

## ნანიცი X

### ტექსტუალური უხიტიციზმი და შესწორებების შეტანა

52. ა) რას ნიშნავს ტერმინები *σχόλια*, უნციანობები, პალიმფსესტები?

ბ) ახსენით ეტრატების შემდეგი სახელწოდებები: ლაურენციანე, მედიჩი, პალატინუსი A, V, P . . . .

გ) დაასახელეთ სამი ან ოთხი საყოველთაოდ ცნობილი ხელნაწერი და აღნიშნეთ მათი თარიღები . . . .

დ) რომელ საუკუნეს მიაკუთვნებენ ხელნაწერების უმეტესობას და რის საფუძველზე დგინდება თარიღები . . . .

ე) რომელია ჰომეროსის საუკეთესო ხელნაწერები? ვ) ორიოდ სიტყვით აღნიშნეთ ქვემოთ მოცემული სიტყვების, მოძღვრებებისა და ხელნაწერების გავლენა, დაასახელეთ მათი მიახლოებითი თარიღები: (I) ალექსანდრიელი გრამატიკოსები; (II) წმინდა ბენედიქტე; (III) იორკელი ალკუინი; (IV) პიჯიო ბრაციოლინი; (V) კონსტანტინოპოლის ალბა; (VI) ალდუს მანუტიუსი . . . .

53. როგორ წარმოიშვა ყველაზე უფრო გავრცელებული შეცდომები ხელნაწერებში? გამოიგონეთ ან მოიყვანეთ შეცდომების შემცველი ციტატები . . . .

54. როდის არის შესწორებები დასაშვები (მისაღები) და როგორ უნდა შევასწოროთ დამახინჯებული პასაჟი . . . .

ლექსი: *ვარჯიში ტექსტურ კრიტიციზმსა და შესწორებებში . . . .*

## ნანიცი XI

### ზოგიერთი მეცნიერი და ფილოლოგი, მათი ღვაწლი

55. აღნიშნეთ, რა ღვაწლი მიუძღვის ქვემოთ ჩამოთვლილთ: ა) ფილოლოგიაში; ბ) მეცნიერებაში; დაასახელეთ (ბ)-ში მოცემულთა გარდაცვალების თარიღები . . . .

ა) (I) ახალი სკოლის ფილოლოგები; (II) ბერძენი და ლათინი ფილოლოგები; (III) სერ ვ.ჯონსი; (IV) ლაიბნიცი; (V) ჰერმანი; (VI) შლეგელი; (VII) ბოპი; (VIII) გრიმი; (IX) პოტი; (X) შლეიხერი; (XI) გეორგ კურციუსი;

ბ) (I) ბენტლი; (II) ბიოკი; (III) ერასმუსი; (IV) აულუს გელიუსი; (V) მუნრო; (VI) პორსონი; (VII) სკალიგერი; (VIII) ვოლფი . . . .

## ღანახთი

### გამოსადეგი (უმეტესად ინგლისუხ ენაზე გამოცემული) ნიგნების სია

*გამოსადეგი ნიგნების სია* - ინგლისური ენის - ბერძნული ენის - ბერძნული დიალექტებისა და ალფაბეტის - ინდოევროპული ენების შესახებ....

ლათინური ენის შესახებ - ლათინური ხელნაწერებისა და იტალიკური დიალექტების შესახებ - ბერძნული ნაწილაკების - ფიზიოლოგიური საკითხების - ფილოლოგიის პრინციპების - ბერძნული და ლათინური სიტყვების წარმოთქმის - სანსკრიტის - წამყვანი მეცნიერებისა და ფილოლოგების შესახებ . . . . .

ბგერის ცვალებადობის შესახებ ზოგადად - სწორი მართლწერის შესახებ - ტექსტუალური კრიტიციზმის შესახებ . . . . .

## ხაზგაშლილი ხრეპი ამ წიგნის მართებულობის

1. გირჩევთ ძალიან სწრაფად გადაიკითხოთ ეს წიგნი მთავარი აზრის გასაგებად;
2. ვიდრე პასუხებს დახედავთ, ჩამოაყალიბეთ თქვენი საკუთარი პასუხი;
3. პასუხების კითხვისას თავდაპირველად ძალიან ნელა და გულდასმით იმუშავეთ, ივარჯიშეთ და სრულყოფილად დაეუფლეთ ელემენტარულ და ძირეულ საკითხებს, შემდგომში ეს დაგაზოგვინებთ დროს, ისევე როგორც ფარეკაობისას ბევრ დროს დაზოგავთ, თუ კარგად გაინაწილებთ ფეხების, წელისა და სხეულის სხვა ნაწილების ელემენტარული მდგომარეობებისა და მოძრაობების შესწავლაში;
4. წიგნის მეორედ ნაკითხვისას, რაც ასევე ნელა და გულდასმით უნდა გააკეთოთ, ვიდრე ახალ საკითხზე გადახვალთ, ჯერ ძველი გადაიმეორეთ. მოიქეცით ძველი რომაელებივით. დარწმუნდით, რომ რაც გაიარეთ, საფუძვლიანადაა შესწავლილი, კარგად გაითავისეთ ძველი, ვიდრე ახლის შეთვისებას შეუდგებოდეთ;
5. როცა თქვენს პასუხებს მოცემულ პასუხებს შეადარებთ, არ შემოიფარგლოთ მხოლოდ:
  - ა) დაშვებული შეცდომების ან
  - ბ) სწორი პასუხების აღნიშვნით, არამედ
  - გ) გამოარკვეეთ, რატომ დაუშვით ეს შეცდომები, რატომაა თქვენი პასუხი არასწორი და
  - დ) როგორ შეიძლება, შეცდომების თავიდან აცილება;
6. ამისათვის იქონიეთ რვეული;
7. როცა საგამოცდო ნაწერს შეასრულებთ, გადახედეთ კიდევ ერთხელ წიგნის მიშველებით და სცადეთ მიაგნოთ სწორ პასუხს. ნუ დაკმაყოფილდებით მხოლოდ ნაშრომის დასრულებით;
8. თუ წიგნში თქვენთვის გაუგებარი რამ შეგხვდათ, ან თუ შეცდომას წააწყდით, ან ისეთს, რაც თქვენი აზრით, შესაძლებელია, შეცდომა იყოს, ჩაინიშნეთ და დიდად დამავალბეთ, თუ ასეთ ნიუანსებზე მიმითითებთ.





# ნანი I.

## შესავალი.

1. ფილოლოგიის შესწავლის უპირატესობანი.
2. ენათა წარმომავლობა.
3. ინდო-ევროპული ანუ Māter-ენა და მისი შთამომავლები.
4. რას ნიშნავს რეალურად „გაანალიზე ‘tremunt’ (ანუ τρέμουνσι)“.



# 1. ფილოლოგიის შესწავლის უპირატესობანი

## 1. აღნიშნეთ ფილოლოგიის შესწავლის ძირითადი უპირატესობანი

ვფიქრობ, აზრი არა აქვს იმის აღნიშვნას, რომ ფილოლოგიას მცირე-დი უპირატესობანი აქვს, თუ ის სათანადოდ არა გვაქვს შესწავლილი. ეს თითქმის ყველა საგანს ეხება.

1. ფილოლოგია, რომელიც გვასწავლის იმას, თუ როგორ ფორმირდება სიტყვები და როგორ იცვლება მათი მნიშვნელობები, უნდა იყოს განსაკუთრებული ინტერესის საგანი, რადგან თავად სიტყვები, რომლებიც საგანს აღნიშნავენ, ყველასთვისაა ცნობილი. სწორედ ეს ანიჭებს ფილოლოგიას უპირატესობას სხვა მეცნიერებებთან შედარებით. სახელდობრ, საწყის წერტილად იგი იღებს იმას, რაც ყველა მისი შემსწავლელისთვის ცნობილი და საინტერესოა.

2. ფილოლოგია ამყარებს კავშირს ანმეოსა და წარსულს შორის. ის ისევე კარგად, როგორც სხვა დისციპლინები (და ალბათ სხვებზე უკეთ) უნდა უჩვენებდეს ევოლუციის პრინციპებს ისეთს, როგორიც ბოლო პერიოდში დარვინმა და სხვებმა გაგვაცნეს მეცნიერების სფეროში (იხ. გვ. 218 აქვე). მაგრამ ფილოლოგია, როგორც სასწავლო დისციპლინა, შეიძლება მეცნიერებაზე მაღლაც კი იდგეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, რადგანაც ის სრულიად უვნებელია მაშინ, როცა მეცნიერების ზედაპირულ ცოდნას ხშირად მიუყვანივართ აგნოსტიციზმსა თუ ათეიზმდე.

ფილოლოგია გვეუბნება იმდენივეს, რამდენიც შეუძლია გვითხრას მეცნიერებამ კანონებისა და გამონაკლისების შესახებ (გვ.66). შეუძლია გვითხრას იმდენივე, რამდენიც ფსიქოლოგიამ - აზროვნებისა და დამახსოვრების მეთოდების შესახებ.

3. უფრო მეტიც, ეს არის ერთ-ერთი მეტად ღირებული დარგი ისეთი ფაქტობრივი მონაცემებისა, რომლებიც გამოსადეგია არა მხოლოდ ფსიქოლოგიის, არამედ მითოლოგიის, ისტორიის თვალსაზრისით (განსაკუთრებით ადრეული ინდოევროპული ისტორიისათვის, რასათა აღრევისა და სხვადასხვა ხალხების ერთმანეთთან კავშირის შესახებ), ასევე ანტიკური გეოლოგიისა და გეოგრაფიისათვის. მაგალითები იხ. გვ. 43,56.

ფილოლოგია გვასწავლის ფაქტობრივ მონაცემთა ანონ-დანონას, ალბათობის სხვადასხვა ხარისხის მიღწევას და მოვლენის გამომწვევი მიზეზების დანახვას.

4. თუ სწორად შევისწავლეთ, ის მეტად საჭირო და გამოსადეგი აღმოჩნდება სხვადასხვა ენების დაუფლებისას: არა მხოლოდ უცხო ენების შესწავლისას, ანუ მათი სიტყვების, სიტყვათა წყობის, მათი სინტაქსის ათვისებისას, არამედ საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული მეცნიერებების და ხელოვნების ტექნიკური ენების შესწავლისასაც. რაც შეეხება

ბერძნულ და ლათინურ ენებს, ფილოლოგია გვიჩვენებს მათ ურთიერთკავშირებს (გვ.16). ეს კი, ვფიქრობ, ფილოლოგიის შესწავლას უფრო ადვილსაც გახდის და უფრო სასიამოვნოსაც.

5. ფილოლოგიის მეშვეობით შეგვიძლია შევისწავლოთ, როგორ გამოვავლინოთ შეცდომები, რამეთუ მრავალი შეცდომა გამოწვეულია სიტყვათა თავისუფალი ხმარებისაგან — და ამდენად, ჩვენ დავეუფლებით იმ დიდი გაკვეთილის ნაწილს, რასაც ჰქვია *სიზუსტე დასკვნების გაკეთებაში*.

6. ფილოლოგიის ერთ ნაწილში (გვ.201) გვარის წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენა განსაკუთრებული შესწავლის საგანი იქნება.

7. აურაცხელი ხალხისათვის ანმეოსა და წარსულში ფილოლოგიამ ჩამოაყალიბა მეტად მოსახერხებელი ჰობი უცნაური მომენტებისათვის: მისი ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოწყობილობებს ჩვეულებრივი გამოყენებისათვის, პრობლემები, რომელიც ადამიანის გონებაშია თავმოყრილი, მზადაა გამოყენებისთვის.

## 2. ენათა ნახმოშობა

### 2. რა თეორიებს გვთავაზობენ ენათა წარმოშობის შესახებ? ჩამოაყალიბეთ საკუთარი აზრი.

ა. გარკვეულმა ენამ შეიძლება არსებობა დაიწყოს, როგორც მხოლოდ „*ჟესტმა*“. ბავშვები მათთვის საჭირო მრავალ მნიშვნელობას მხოლოდ და მხოლოდ ჟესტებით გადმოსცემენ. მაგალითად, მინიშნებით. ბოლო წლებში ჩვენ ვნახეთ მთელი წარმოდგენები, სპექტაკლები, რომლებსაც ჟესტებით თამაშობდნენ..

საერთო სათაურის, „*ჟესტების*“, ქვეშ ჩვენ ასევე უნდა გავაერთიანოთ სხეულისა და მისი სხვადასხვა ნაწილების მოძრაობებიც, განსაკუთრებით ხელების და თითების, თავისა და თვალების, შუბლისა და პირის მოძრაობები.

ამ სათაურის ქვეშ ასევე შეიძლება განთავსდეს ჟესტების აღმნიშვნელი *სურათები და სხვა ნიშნები*.

ბ. მეორე, არსებობს ასევე *მუსიკის* ენა. ენა, რომელიც შედგება მხოლოდ *ნოტებისაგან*. მაგალითად, კატას თავის მეტყველებაში არ გააჩნია არანაირი თანხმოვანი და უმეტესწილად ლაპარაკობს ტონალობის ცვლის მეშვეობით.

გ. ასევე არსებობს *მხოლოდ ბგერების*, „ხმოვნებისა და თანხმოვნების“ ენა. ანუ გვაქვს ჩვეულებრივი ბგერები, მუსიკალური ტონალობის შეცვლის გარეშე. ამის საუკეთესო მაგალითია ეკლესიაში წირვის ცერემონიალები, სადაც მნიშვნელობის გადმოსცემა ხდება ტონალობის ცვალებადობის გარეშე.

დ. მეოთხე, *სიტყვებს გაჟღერების გარეშეც შეუძლიათ*, გადმოსცენ მნიშვნელობა. წერა ამის ნათელი მაგალითია.

ე. როგორც წესი, ჩვენ ამ მეთოდებიდან მნიშვნელობის გადმოსაცემად ორი ან მეტი მეთოდის *კომბინაციას* ვიყენებთ. მაგალითად, წინადადებაში, როგორიცაა: ‘The cat’s gone in there, hasn’t it? What?’ („კატა იქ შეძვრა არა? რა?“) ჩვენ ოთხივე მეთოდის კომბინაციას ვიყენებთ.

იზადება კითხვა, *როგორ ხდება მნიშვნელობების მინიჭება ბგერების ან ფორმებისათვის?* ამ კითხვას რამდენიმე პასუხი აქვს.

1. ზოგი ფიქრობს, რომ ყველა ენა *იმიტაციიდან* წარმოიშვა. ამ აზრს იცავს პროფესორი მაქს მიულერი. მის თეორიას შეიძლება, ეწოდოს „*ფაჰჰ-ფაჰჰ*“ ან „*გუ-გუუ*“ თეორია, რადგან ეს, მართლაც, ის სიტყვებია, რომლებიც ამგვარად, ბგერების იმიტაციით წარმოიშვა. თუმცა ეს ყველაფრის ახსნას არ იძლევა.

2. (ა) მეორე თეორიის მიხედვით ბგერები თავდაპირველად გამოიყენებოდა *ემოციის გამოსახატავად*. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანებს, რომლებსაც გარკვეული ემოციები ჰქონდათ, მაგალითად, განიცდიდნენ შიშს ან ბრაზს, თავს ვერ იკავებდნენ და გამოხატავდნენ ამ გრძნობებს

გარკვეული ბგერების გამოცემით.

ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე უნებლიე ტკივილით გამოწვეული ყვირილი ან სიბრაზით გამოწვეული ღრენა.

2. (ბ) ამას ჩვენ დავამატებთ, რომ გარკვეულ ქმედებებს, განსაკუთრებით კი მძაფრ ქმედებებს, ბუნებრივად თან სდევს გარკვეული ბგერების გამოცემა, მაგრამ, თავისთავად ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ავხსნათ ყველა ენა, როგორც ასეთი, ამიტომ მომდევნო თეორია უნდა დაემატოს წინა ორს. იგი არა გამოორიცხავს, არამედ ავსებს მათ.

3. ჩვენ ვიცით, როგორ *იგონებენ* ბავშვები გარკვეული პიროვნებების ან საგნების სახელებსა თუ ბგერებს, *ისეთებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო თვით ამ საგნებთან*. მაგრამ ინტენსივობის ან შესტებისა და განსაკუთრებით კი, გამეორების მეშვეობით, გარშემო ყველა ხვდება, რას გულისხმობს ბავშვი, როცა იგი წარმოთქვამს გარკვეულ ბგერებს.

სავარაუდოა, რომ *ძალიან ადრეულ ხანაში* არსებობდა *ბგერების სიუხვე*, რომლებიც (სხვადასხვა მიზეზთა გამო და სხვადასხვა შემთხვევაში) გამოიყენებოდნენ თავისი საკუთარი განსაკუთრებული და განსაზღვრული მნიშვნელობის გარეშე.

დავუშვათ, პრიმიტიულ ადამიანს სურდა, ელაპარაკა ცხვრის შესახებ. მას შეეძლო, მიეთითებინა ცხვარზე და წარმოეთქვა ერთ-ერთი ბგერათაგანი. მისი მსმენელები ამ ბგერასა და აზრს ცხვრის შესახებ ერთმანეთს დაუკავშირებდნენ და ამ ბგერაზე მოხდებოდა ჩუმი შეთანხმება, როგორც ცხვრის ნიშანზე. ამ ორი ან მეტი ადამიანისაგან ცხვრის აღმნიშვნელი ნიშანი შეიძლებოდა გავრცელებულიყო ბევრ სხვა ადამიანზეც.

4. დაბოლოს, როცა ადამიანებმა მარტივი მნიშვნელობის მქონე ბგერები და სიტყვები აითვისეს (მაგალითად, *სიცხე* ან *ცეცხლი*), მათ შეეძლეს მათი სხვა, ახალი მნიშვნელობებისა და აზრების გადმოსაცემად გამოყენება.

ამგვარად, სიტყვა, რომელსაც იყენებდნენ სიცხის ან ცეცხლის აღსანიშნავად, შეიძლებოდა მეტაფორულად გამოეყენებინათ *სიბრაზის ცეცხლსა და სიცხის* გადმოსაცემადაც. სიტყვა, რომელიც აღნიშნავდა დანახვას (*see*), შეიძლება გამოეყენებულიყო მეტაფორულად გონებასთან დაკავშირებითაც: *გონებით დანახვა, ანუ გაგება* (იხ. გვ. 223).

სხვა პრინციპები ენის ისტორიასთან დაკავშირებით ილუსტრირებული იქნება ქვემოთ (გვ.217), „ეტიმოლოგიის“ (სემანტიკა) თავში.

### 3. ინდოევროპული ენა Māter-ენა (ქვემოთ)

#### 3. (ა) რა იგულისხმება ინდოევროპულ ენაში. თქვენი პასუხის საილუსტრაციოდ დახაზეთ გეგმა.

რას წარმოადგენდა ინდოევროპული ენა. ამაზე პასუხს შემდეგი წინადადებები გაგვცემენ (იხ. გვ. 159):

Māter yuḡóm bhene: séptm agróis esti.

როგორაა ეს წინადადებები აღდგენილი? ის, რომ ისინი აღდგენილია, ეჭვს არ იწვევს: თავად ინდოევროპული ენა დღეს გამქრალია.

ჩვენ მათ აღვადგენთ შემდეგნაირად: ვიღებთ ბერძნულ ფორმებს, ლათინურ ფორმებსა და ინგლისურ ფორმებს, ვანყვილებთ მათ ერთმანეთთან და ვეძებთ, რომელი შეიძლებოდა ყოფილიყო „მშობელი-ფორმა“. „მშობელი ფორმა“ უნდა იყოს ის, რომელსაც შეეძლო, ბუნებრივად წარმოეშვა და განევითარებინა ყველა „შთამომავალი ფორმა“, ანუ ის, რომელიც ყველა სხვა ფორმებში შეიძლება ვნახოთ. „მშობელი ფორმა“ ყველა მათგანს უნდა მოიცავდეს, თუ ისინი მისი პირდაპირი შთამომავლები არიან.

შეკითხვაზე, თუ როდის ლაპარაკობდნენ ამ ენაზე, შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ლაპარაკობდნენ სულ ცოტა, სამი ათასი წლის წინათ მაინც. იმის თაობაზე, თუ სად ლაპარაკობდნენ ამ ენაზე, კომპეტენტური პირები ჯერ არ შეთანხმებულან. ზოგს მიაჩნია, რომ მისი ადრეული სამშობლო იყო აზია მაშინ, როცა სხვები დარწმუნებულნი არიან, რომ მისი ადრეული სამშობლო იყო ევროპა.

სადაც არ უნდა ყოფილიყო ამ ენის სამშობლო, ეს უეჭველად ფართოდ გაშლილი სივრცე უნდა ყოფილიყო და ვინც არ უნდა ყოფილიყო ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი, ისინი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყვნენ ბარბაროსები, თუმცა ეს იქნებოდა რაღაც პრიმიტიული ყაიდის ცივილიზაცია.


საიდან ვასკვნით ამას? ძირითადად აღდგენილი ენიდან, რომელშიც ჩვენ ვპოულობთ სიტყვებს ისეთი ცნებების გადმოსაცემად, როგორიცაა ცხენი, ცული, გუთანი, სახლი, კარი, სიმდიდრე, ღვინო, რძე, ღვიძლი, მამა, დედა, ქალიშვილი, რიცხვითი სახელები და ა.შ. იხ. სიტყვათა ნყვილები (გვ. 83).

მაშ როგორ შეეძლო ერთ ენას სათავე დაედო მთელი რიგი ენებისათვის, მათ შორის, ბერძნულის, ლათინურისა და ინგლისურისთვის?





როგორც ჩანს, ხალხი ამ ვრცელ ტერიტორიაზე *სულ უფრო და უფრო მრავლდებოდა* და ხალხის ტალღებმა სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით კი ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით იწყო სვლა. ერთი ან მეტი ასეთი ნაკადი საბერძნეთისკენ გაემურა, ერთი ან ორი – იტალიაში, სხვებმა სხვა მიმართულებით აიღეს გეზი.



ბ. ინდოევროპული ენების სქემა (ეს არის ენების სქემა, რომლებიც ყოველთვის რასებს არ ემთხვევა). არაინდოევროპული ენები ფრჩხილებშია მოცემული.

ეს სქემა წარმოდგენას გვიქმნის იმ მიმართულებებზე, საითაც ხალხის სხვადასხვა ნაკადი შეიძლება გადაადგილებულიყო. ქვემოთ მოცემული სია გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ერთმა მშობელმა ენამ სათავე დაუდოს რამდენიმე შვილ ენას.

### ინდოევროპული ენების სია

ქვემოთ მოცემული წარმოდგენს არასრულ და არაზუსტ სიას.

#### 1. არიული:

(ა) *ინდური*, რომელთაგანაც სანსკრიტი არის ძირითადი, უმთავრესი ენა. ეს იყო ბრაჰმანების, ინდოელი მღვდლების, ლიტერატურული ენა. ძველ სანსკრიტს ვხვდებით ვედურ ჰიმნებში, გვიან ანუ კლასიკურ სანსკრიტს კი – ეპიკურ პოემებში და ა.შ.

(ბ) *ირანული*, რომელთაგანაც აღმოჩენილია ლურსმნულით შესრულებული ძველი სპარსული ფორმა, ხოლო ძველი ბაქტრიული აღმოჩენილია ზენდავესტაში, ზოროასტრის წმინდა წიგნებში;

#### 2. სომხური;

#### 3. ბერძნული (იხ.გვ.17,31);

4. ილირიური ანუ ალბანური;
5. იტალიკური (იხ. გვ. 17, 55);
6. კელტური: (ა) ირლანდიური, გელური და მანქსი (მანის კუნძულების ენა) ჩრდილოეთში;
- ბ) უელსური, კორნიული, არმორიული სამხრეთში;
7. ტევტონური: (ა) ძველი გუთური და სკანდინავიური (ისლანდიურის, ნორვეგიულის, დანიურისა და შვედურის ჩათვლით) აღმოსავლეთში;
- (ბ) დასავლეთში - ინგლისური, ფრიზიული და ზემო და ქვემო გერმანული;
8. (ა) ბალტიური, ძველი პრუსიულის ჩათვლით, ლიტვური და ლატვიური;
- ბ) სლოვენური, რუსულის, ბულგარულის, სერბულის და ხორვატულის ჩათვლით სამხრეთში და პოლონური და ჩეხური დასავლეთში.

აუცილებელია, ფხიზლად ვიყოთ და არ დავუშვათ ფართოდ გავრცელებული შეცდომა, სახელდობრ ის, რომ ენა იგივეა, რაც რასა. ხალხი შეიძლება ლაპარაკობდეს იმ რასის ენაზე, რომელსაც ისინი სისხლით არ მიეკუთვნებიან. მაგალითად, საფრანგეთში ვხვდებით ხალხს, რომლებიც ლათინური ენის დიალექტზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ სისხლით ლათინები კი არა კელტები იყვნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ინდოევროპულ რასაზე ან მის შთამომავლებზე კი არ ვაპირებთ საუბარს, არამედ განვიხილავთ ინდოევროპულ ენასა და მის შთამომავალ ენებს.

ინდოევროპული ენა თავდაპირველად მხოლოდ ერთი ენა იყო და მასზე მხოლოდ მცირე არეალის ფარგლებში ლაპარაკობდნენ. სხვა არეალებში ბევრ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელთაც სულ სხვა წარმომავლობა ჰქონდათ. მაგალითად, აფრიკული ენები. სხვადასხვა ენებისა და დიალექტების რაოდენობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ არსებობდა 1000-მდე ენა, სხვები კი ფიქრობენ, რომ არსებობდა 3000-ზე მეტი სხვადასხვა ენა და დიალექტი.

3. (ბ). რას უწოდებენ სხვაგვარად ინდოევროპულ ენას? გააკრიტიკეთ ეს სახელწოდებები და თუ შეგიძლიათ, მოიფიქრეთ ახალი სახელები.

ინდოევროპულ ენას ასევე უწოდებენ:

(I.) „არიულ“ ენას: მაგრამ „არიული“ არის ტერმინი, რომელიც ზოგჯერ გამოიყენება სპეციფიკურად აზიური ჯგუფის ენების (სანსკრიტსა და სპარსულის) აღსანიშნავად;

(II.) „ინდო-გერმანიკულ“ ენას: მაგრამ აზიური ჯგუფი არ იყო უბრალოდ ინდური, ხოლო ევროპული ჯგუფი (იხ. გვ. 14) არ იყო მხოლოდ გერმანული ან ტევტონური; მაგალითად, ტერმინი, „ინდო-გერმანიკული“ გამორიცხავს სლავურად და ლათინურად მოლაპარაკე ხალხებს;

(III.) „ინდოევროპული“ უკეთესია, მაგრამ იგი არ მოიცავს სპარსულს;

(IV.) „ევრო-არიული“ ბევრად სჯობია, რადგან იგი მოიცავს ევროპულ ენებს (რომლებიც უმეტესწილად ამ ენიდან წარმოიშვნენ) და გარკვეული

თვალსაზრისით არიულსაც.

(V.) შეიძლება შემოთავაზებულ იქნეს *Māter* -ენა, რადგან იგი არა მხოლოდ დედა ენის მნიშვნელობას შესძენდა, არამედ იმ ფორმასაც, რომელიც ამ ენას ფაქტობრივად ეკუთვნოდა. იგი უნდა წარმოითქვას არა *'mey-ter'* არამედ *'mah-ter'*.

3. (გ). მოიყვანეთ ინდოევროპულ ანუ *Māter*-ენის რამდენიმე სიტყვა-მოდელი თავისი ბერძნული, ლათინური და ინგლისური „შთამომავლებით“.

ინდოევროპული ანუ *Māter*-ენაზე შემდეგი წინადადებები:

(a) mother, bear the yoke in the ten fields;

(b) there is a new family;

(c) which of those women is going alone?

[ა] დედა, წაილე უღელი ათ მინდორში; ბ) ეს ახალი ოჯახია; გ) ამ ქალებიდან რომელი მიდის მარტო?]

დაახლოებით ასე იქნება. ოღონდ მე არ დამისვამს მახვილები შენიშვნებისათვის (იხ. გვ.73);

(ა) *Māter, dekm agrois yuḡom bhere*;

(ბ) *neuom esti ḡenos*;

(გ) *q<sub>u</sub>is tāsōm oinā eiti ?*

(ა)	<i>māter</i>	μητέρα	<i>māter</i>	mother
	<i>dekm</i>	δέκα	<i>decem</i>	ten
	<i>agrois</i>	ἀγροίς	<i>agrīs</i>	acres
	<i>yuḡom</i>	ζυγόν	<i>yugum</i>	yoke
	<i>bhere</i>	φέρε	<i>fer</i>	bear

(დედა; ათი; მინდორი; უღელი; წაღება, ტარება)

(ბ) *neuom νέου* *nouom* new

*esti* ἐστίν *est* is

*ḡenos* γένος *genus* kin

(ახალი; არის; ნათესავი)

(გ)

*q<sub>u</sub>is* τις *quis* whi(ch)

*tāsōm* τῶν (is)tārum th(ose)

*oinā* οἷνη *ūna* an, a

*eiti* εἴσι *ī* (later *it*)

(რომელი; ისინი; განუსაზღვრელი არტიკლი)

### 3.(დ) დაადგინეთ (და წარმოადგინეთ სქემით) ბერძნული ენისა და ლათინური ენის ურთიერთდამოკიდებულება.

ზოგჯერ დედა აგზავნის შვილებს მშობლიური ადგილებიდან სხვა ქვეყნებში, სადაც ისინი ახალ მეზობლებს იძენენ, სადაც მათ ახალი პირობები ხვდებათ და სადაც ერთი შვილი შეიძლება ერთგვარად შეიცვალოს, მეორე კი-სხვაგვარად. ამრიგად, ერთი შვილის შთამომავლები გარეგნობით შეიძლება ძალიან განსხვავებულნი გახდნენ მეორე შვილის შთამომავლებისაგან, თუმცა გარკვეული ოჯახური ნიშან-თვისებები შეიძლება უცვლელი დარჩეს. პირველი და მეორე რიგის ბიძაშვილებს შეიძლება კიდევ შემორჩეთ ერთმანეთის მსგავსება რაღაც ასპექტში.

ინდოევროპულმა ანუ *Māter*-ენამაც გაგზავნა შვილები სხვა ქვეყნებში, სადაც მათ ახალი პირობები და ახალი მეზობლები დახვდათ. ისინი თანდათან ერთმანეთისაგან უფრო და უფრო მეტად განსხვავებულნი ხდებოდნენ, რადგან ერთმანეთს უფრო შორდებოდნენ და ნაკლებად ეკონტაქტდებოდნენ. თავდაპირველად *Māter*-ენა ორ დიალექტად განშტოვდა. შემდეგ ეს დიალექტები დამოუკიდებელ ენებად იქცნენ (გვ.28). ერთ-ერთი ამ „ქალიშვილ ენათაგანი“ იყო იტალიკური, რომელსაც მარცხნივ კელტური ენა ჰყავდა, მარჯვნივ კი - ბერძნული. ბერძნულს მარჯვნივ, შესაძლოა სომხური ენა ჰყავდა, ყოველ შემთხვევაში, არიული აუცილებლად (სანსკრიტი და სპარსული). ამ დიალექტთა წყობა მარცხნიდან მარჯვნივ თვალნათლივ ჩანს ევროპის რუქაზე (სურათი გვ.11) და შეიძლებოდა, გვენოდებინა სახელად „კიბსა“ (კელტური, იტალიკური, ბერძნული, სომხური, ასირიული) (ინგლისურად - CIGAR=Celtic, Italic, Greek, Armenian, Arian).

ამგვარად, იტალიკური და ბერძნული, ერთ დროს და ენები, რომლებიც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, მოგვიანებით ერთმანეთს დაშორდნენ და თავად გახდნენ დედა ენები. იტალიკურს ჰყავდა თავისი შვილები, რომლებიც (არაზუსტად) იწოდებიან ლათინურ, ოსკურ, საბელურ და უმბრიულ ენებად. ბერძნულსაც ეყოლა შვილები, რომლებსაც (ასევე არაზუსტად) ეწოდებათ: ეოლიური, იონიური და დორიული ენები. ამ ენებს ეწოდათ დიალექტები.

ამრიგად, იტალიკური ენის ლათინური დიალექტი და ბერძნული ენის იონიური დიალექტი არიან პირველი ბიძაშვილი დიალექტები. მათ შეიძლება ვუნოდოთ პირველი ბიძაშვილი ენები. ატიკური, უმთავრესად, იყო იონიურის შტო და ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ ლათინურისათვის იგი არის ღვიძლი ბიძაშვილი.

ჩვენ, როგორც წესი, ვხვდებით ამ ბიძაშვილი ენების, სახელდობრ, ატიკური და ლათინური ენების არა ყოველდღიურ, სასაუბრო მხარეს, არამედ ატიკურისა და ლათინურის ლიტერატურულ მხარეს. მაგალითად, სოფოკლესა და ციცერონის ნაწერებში გამოყენებულია ატიკური და ლათინური.



გ. იტალიკურის, ბერძნულისა და მათი დიალექტების გეგმა

შენიშვნა;1. ამგვარად, ბერძნული და ლათინური ენები, ჩვეულებრივი გაგებით, ერთმანეთისა და სანსკრიტის ბიძაშვილები არიან. ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ დავუშვათ საყოველთაოდ გავრცელებული შეცდომა იმის განცხადებით, რომ ლათინური ფორმები ბერძნული ფორმებისგან წარმოიშვნენ, ან ბერძნული -სანსკრიტისგან. ფაქტობრივად, ლათინური ფორმები ხშირად უფრო ძველია, ვიდრე ბერძნული (მაგალითად, *quasi* უფრო ძველია, ვიდრე *πότε*, იხ. გვ.100) და ბერძნული ან ლათინური ფორმები კი ხშირად უფრო ძველია, ვიდრე სანსკრიტის ფორმები.

2. როგორც შემდგომში ვნახავთ (გვ.36), ლათინური, ზოგი თვალსაზრისით, არ არის ატიკურ ბერძნულთან იმდენად ახლოს, როგორც, მაგალითად:

(ა) იტალიკურ დიალექტებთან; (გვ.55)

(ბ) ეოლიურ დიალექტთან.

## 4. ხან ბჯისხმობს სინამდვილეში "გაანალიზე *tremunt*"

4.(ა) "გაანალიზე 'tremunt~ ან *τρέμουσι*" — რას, გულისმობს  
სინამდვილეში ეს დავალება?

„გაანალიზე *τρέμουσι*“ წარმოადგენს ფილოლოგიური დავალების ერთ-ერთ ტიპს, რომელსაც დიდი ხანია შეცდომაში შეჰყავს დამწყები შემსწავლელი, რადგანაც იგი ბუნებრივად მიიჩნევს, რომ მას სთხოვენ, გაანალიზოს სიტყვა, "*τρέμουσι*", ამიტომ იგი დაწერს, მაგალითად, *ტრემ-ო-სი*, რაც არ იქნება სწორი პასუხი. სწორი პასუხი იქნებოდა შემდეგი:

ძირი. ? სუფიქსი (ანმყო დროის) დაბოლოება (III მრ. რ. მოქმ.)

*trem o nti*.

ფაქტობრივად, დავალება არ გულისხმობს სიტყვა *τρέμουσι*-ის ანალიზს, არამედ იგი გულისხმობს შემდეგს: „დანერეთ ადრეული ფორმა სიტყვისა, *τρέμουσι*, და გაანალიზეთ იგი“. „გაანალიზე *x*“ არ გულისხმობს „გაანალიზე *x*“-ს, არამედ იგი ნიშნავს დანერე *x*-ის ადრეული ფორმა და შემდეგ გაანალიზე იგი.

